



## ACAG Print Contest: 26 ივნისი 2020

### ზოგადი აღწერა:

საქართველოზე არ ვრცელდება ცხოველთა უფლებების უზრუნველყოფი საერთაშორისო კონვენციები და სხვა აქტები. ქვეყნის შიგნით არ არის დარეგულირებული ცხოველთა დაცვისა და სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრის საკითხები, არ არსებობს სახელმწიფო კანონები ცხოველთა დაცვის სფეროში, თუ არ ჩავთვლით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლს (ეს მუხლი ე.წ. „მკვდარი“ მუხლია და მისი გამოყენება არ დაფიქსირებულა, ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის მასობრივი ხასიათის მიუხედავად), ასევე, **თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილებას, შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესის და პოპულაციის მართვის** თაობაზე, რომელიც მართალია, არეგულირებს გარკვეულ საკითხებს, მაგრამ სახელმწიფოს კანონმდებლობაში ამ თემასთან დაკავშირებით არსებული ვაკუუმის გამო, ვერ აწესრიგებს ცხოველთა დაცვის მექანიზმს.

საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემებია როგორც შინაურ, ასევე გარეულ ცხოველთა პოპულაციის მართვის საკითხებში. შესაბამისი კანონების არარსებობისა და არასრულყოფილების გამო, გამეფებულია ცხოველისადმი სისასტიკე.

უძძიმესი მდგომარეობაა მიუსაფარი შინაური ცხოველების (ძაღვები, კატები) კუთხითაც. წლების განმავლობაში, უსახლკარო შინაური ცხოველების მექანიკური განადგურების მახინჯი პრაქტიკა პრობლემას არა თუ ხსნის, არამედ უფრო ამძიმებს.

თვითმართველობის ორგანოები – ქალაქებისა და რეგიონების საკრებულოები, ამ სფეროში საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობის გამო, დღემდე ვერ ახერხებენ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული აქტების მომზადებას ცხოველთა პოპულაციის მართვის საერთაშორისო ჰუმანური წესების დასამკვიდრებლად. საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის თვალწინ ხდება ქუჩის ცხოველთა უღმობელი მეთოდებით დაჭერა, არასპეცმანქანებით ტრანსპორტირება, მათი დამწყვდევა, სასტიკი მეთოდებით მოკვდინება და ცხოველთა ლეშის გაუჩინარება. არის შემთხვევები, როცა უპატრონო

ცხოველებს, დასახლებულ პუნქტებში, მოსახლეობის თვალწინ იჭერენ და ხოცავენ არაჰუმანური იარაღით. ცხოველის დაჭერის დროს განხორციელებული სასტიკი ქმედებების, ასევე მიკედლებული ცხოველების განადგურების შედეგად, ბევრმა ადამიანმა მიიღო ფსიქოლოგიური ტრავმა.

სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ცოფის შემთხვევების რიცხვით საქართველო ევროპაში პირველ ადგილზეა, ხოლო დაკბენილ ადამიანთა შემთხვევების რაოდენობით კი – მსოფლიოში. (წყარო: GSPA - საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება)

### **პრობლემა:**

ცხოველთა დაცვის მიმართულებით, საქართველოში უამრავი პრობლემაა. შინაურ ცხოველებთან მიმართებაში (ძაღვები, კატები) განსაკუთრებით გამოკვეთილი პრობლემაა საზოგადოების და მათ შორის, სახელისუფლებო ორგანოებში დასაქმებული ადამიანების დაბალი ცნობიერება პრობლემის მიმართ. მოსახლეობა, საკუთარი პასიურობით, ხელს უწყობს პრობლემის გაღრმავებას. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც შინაური ცხოველი რიგით სათამაშოდ განიხილება, ოჯახები შინაურ ცხოველს ბავშვებისთვის ყიდულობენ გაუაზრებელი/დაუფიქრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, ხშირად იმპულსურად. (დილით გადაწყდება, რომ ძაღლი უნდათ და საღამოს უკვე ნაყიდი ჰყავთ), შედეგად, შინაური ცხოველი გაიგივებულია სათამაშოსთან და როგორც კი ბებრდებათ ცხოველი ქუჩაში რჩება, შემდეგ კი, ვიგებთ უამრავი ამბავს ასეთ მიტოვებულ ცხოველებზე, მათ ტრაგიკულ ისტორიებზე, გადავსებულ თავშესაფრებზე და ა.შ.

### **მიზანი:**

შეიქმნას საკომუნიკაციო გზავნილის მატარებელი პოსტერი, რომელიც მოუწოდებს ოჯახებს პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებისკენ, დაფიქრებისა და გააზრებისკენ, სანამ შინაური ცხოველის ყიდვას/ყოლას დააპირებენ.

### **მთავარი გზავნილი:**

„დაფიქრდი, სანამ აიყვან“ (გზავნილის ტექსტი შეიძლება შეიცვალოს მიზნის გათვალისწინებით)

### **სამიზნე აუდიტორია:**

ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ პატარა ბავშვები და ჯერ არ ყავთ შინაური ცხოველი.

**გზავნილის ტონი:**

ინფორმაციული, მამოტივირებელი, დასამახსოვრებელი

**ფორმატი:**

A4

**განთავსება:**

გამარჯვებული პოსტერი განთავსდება თბილისის ქუჩებსა და პარტნიორ მედია არხებში.

**ვადა:**

10 ივლისი, 23:59

ნამუშევრები უნდა გამოგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე  
[acag.ge@gmail.com](mailto:acag.ge@gmail.com)